

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტზე

### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი: მართლწესრიგის დაცვის და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის ამოქმედების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილად ჩაითვალა მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვების, შენახვის, რეალიზაციის ან გადაზიდვისათვის პასუხისმგებლობის გამკაცრება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი: წარმოდგენილი პროექტის მიზანია მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვების, შენახვის, რეალიზაციის ან გადაზიდვისათვის პასუხისმგებლობის ზომების გამკაცრება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი: კანონპროექტის მიხედვითა, პირი, რომელიც პირველად ჩაიდენს აღნიშნულ სამართალდარღვევას (აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვებისათვის, შენახვისათვის, რეალიზაციისათვის ან გადაზიდვისათვის) პასუხისმგებლობად განესაზღვრება ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციული პატიმრობა ვადით 30 დღემდე. ხოლო თუ იმავე პირმა ერთი წლის განმავლობაში იგივე ქმედება ჩაიდინა განმეორებით, პასუხისმგებლობის ზომად განესაზღვრება ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციული პატიმრობა ვადით 60 დღემდე.

### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე: კანონპროექტის მიღება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირებისათვის ფისკალურად ნეიტრალურია.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილზე: კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები: კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშვება სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.

ბ.ე) კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგი იმ პირობების, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება: კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას გადასახადის განაკვეთებზე და შესაბამისად თანმდევ ფინანსურ შედეგებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი): კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესის (პრინციპის) ცვლილება.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან: კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან: კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან: კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში: კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში: ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:  
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:  
საქართველოს მთავრობა.